


შპს კერა
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2019	31.12.2020
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	828,714	850,201
სულ გრძელვადიანი აქტივები	828,714	850,201
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	239,596	382,382
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	123,155	187,738
გადახდილი ავანსები	1,628	4,932
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	1,718	65,518
საგადასახადო აქტივები	75,577	91,112
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	85,838	3,647
სულ მიმდინარე აქტივები	527,512	735,329
სულ აქტივები	1,356,226	1,585,530
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	117,485	117,485
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(1,588,455)	(2,198,544)
სულ საკუთარი კაპიტალი	(1,470,971)	(2,081,059)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	13,823	7,960
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,823	7,960
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	60,851	100,135
გადასახდელი გადასახადები	91,311	217,777
გადასახდელი ხელფასები	19,432	20,176
მოკლევადიანი სესხები	2,440,086	3,004,538
გადასახდელი პროცენტი	201,694	316,003
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,813,374	3,658,629
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,356,226	1,585,530



დირექტორი

22 სექტემბერი 2021



ბუღალტერი

22 სექტემბერი 2021


შპს კერა
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	888,405	766,353
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(575,835)	(596,703)
მთლიანი მოგება	312,570	169,649
მიწოდების ხარჯი	(70,696)	(83,803)
საოპერაციო ხარჯები	(207,794)	(113,695)
ხელფასის ხარჯი	(393,514)	(276,115)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(105,721)	(3,554)
საოპერაციო მოგება	(465,155)	(307,517)
საპროცენტო ხარჯი	(217,436)	(155,781)
საპროცენტო შემოსავალი	800	800
არა საოპერაციო შემოსავალი	47,303	46,436
არა საოპერაციო ზარალი	(156,616)	(168,315)
საკურსო სხვაობა	(11,198)	(25,712)
სულ არა საოპერაციო მოგება/ზარალი	(337,147)	(302,572)
მოგება დაბეგვრამდე	(802,302)	(610,089)
მოგების გადასახადი	-	-
სულ სრული შემოსავალი	(802,302)	(610,089)
მაკონტროლებელი წილი	(481,381)	(366,053)
არა მაკონტროლებელი წილი	(320,921)	(244,036)



დირექტორი

22 სექტემბერი 2021



ბუღალტერი

22 სექტემბერი 2021

შპს კერა
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ძირითადი საქმიანობა

ინფორმაცია გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკაზე

შპს «კერა» (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 2016 წლის 16 ნოემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი ი. ჭავჭავაძის გამზირი N49ა. კომპანიის დამფუძნებლებია სვეტლანა დოსკიევა 8%, იმედა კახიანი 12%, გია წერეთელი 30%, ჯალილა ამოევი 5%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მანიპე 20% და იური სამოძელოვი 25%.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ბიო საწვავის წარმოება და ვაჭრობა. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ის ფლობს 60 პროცენტთან წილს შპს „ეკოლინში“ და არის გადაწყვეტილების მიმღები. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია დაკონსოლიდირებული მშობელ და შვილობილ საწარმოს შორის.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	31.12.2019	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშზე	85,706	3,515
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	132	132
ნაღდი ფული სალაროში	0.41	0.41
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	0.41	0.41
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	85,838	3,647

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	123,155	187,738
სულ მიმდინარე მოთხოვნები	123,155	187,738

შპს კერა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხვული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

	31.12.2019	31.12.2020
ნედლეული და მასალები	98,698	186,389
სხვა	140,898	195,993
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	239,596	382,382

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- | | |
|--------------------------------|-------------|
| 1. ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |
| 2. კომპიუტერული ტექნიკა | 5 წელი |
| 3. სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი |
| 4. ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |

შპს კერა
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	ლაუმთავრებული მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	1,320	113,584	16,501	40,013	123,670	407,209	702,297
დანამატები	-	49,486	3,072	41,951	69,108	153,587	317,205
აქტივების ჩამორეა	-	(50,511)	(1,806)	(17,442)	(29,520)	(92,695)	(191,974)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(34,900)	(1,806)	(10,792)	(17,977)	(85,992)	(151,467)
ჩამორეალი აქტივების ცვეთა	-	34,900	1,806	10,792	19,163	85,992	152,653
ბალანსი 31.12.2019	1,320	112,560	17,767	64,522	164,444	468,101	828,714
დანამატები	-	34,258	30	22,248	33,754	59,929	150,218
აქტივების ჩამორეა	-	(36,209)	(1,273)	(6,184)	(21,399)	(128,057)	(193,122)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(36,209)	(1,273)	(1,723)	(18,817)	(90,338)	(148,361)
ჩამორეალი აქტივების ცვეთა	-	100,600	1,273	1,723	18,817	90,338	212,752
ბალანსი 31.12.2020	1,320	175,000	16,524	80,586	176,799	399,973	850,201
ბალანსი 31.12.2019	1,320	112,560	17,767	64,522	164,444	468,101	828,714
ბალანსი 31.12.2020	1,320	175,000	16,524	80,586	176,799	399,973	850,201

შპს კერა**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება****2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის****სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები**

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახდები.

	31.12.2019	31.12.2020
მოწოდებელსა და მომსახურებელს წარმოქმნილი ვალდებულებები	-	27,330
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	13	-
გადასახდელი ხელფასები	19,432	20,176
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	60,838	28,011
სულ მიმდინარე ვალდებულებები	80,283	75,517

მოკლევადიანი სესხები

ანგარიშგებაში წარდგენილი სასესხო ვალდებულებები მოიცავს მეკავშირე საწარმოებისგან და საბანკო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებს და მათზე დარიცხულ საპროცენტო ვალდებულებებს.

	31.12.2019	31.12.2020
მოკლევადიანი სესხები	1,685,779	2,178,246
სესხები პარტნიორებისგან	89,969	161,955
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	664,337	664,337
სულ მოკლევადიანი სესხები	2,440,086	3,004,538

შპს კერა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული ღირებულების დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული ღირებულების ხარჯზე ღირებულების ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	885,735	764,149
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,669	2,203
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	888,405	766,353

	31.12.2019	31.12.2020
გაყიდული/შეძენილი საქონელი	504,187	539,576
ფასდათმობა	-	1,310
სხვა თვითღირებულების ხარჯი	71,648	55,818
სულ თვითღირებულების ხარჯი	575,835	596,703

შპს კერა
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

	31.12.2019	31.12.2020
საპენსიო ხარჯი	10,317	8,021
იჯარის ხარჯი	130,920	80,584
კომუნიკაციის ხარჯი	4,780	3,588
კომპიუტერის ხარჯი	1,203	330
საკონსულტაციო ხარჯი	1,600	-
საგადასახადო ხარჯი	9,409	9,601
სხვა საერთო ხარჯი	49,565	11,571
სულ ხარჯები	207,794	113,695

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;

შპს კერა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
-
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
-
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არა მაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არა მაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არა მაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.